

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს ქ. ლანჩხუთში, ე.წ. სოფტექნიკის ტერიტორიაზე ს. მგელაძის ქ. N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობებზე N1 2598.36 კვ.მ, N2 767.34კვ.მ, N3 50.63კვ.მ და მასზე მიმაგრებულ 52456 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებაზე

**გამყიდველი** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

**დასახელება** - ქ. ლანჩხუთში, ე.წ. სოფტექნიკის ტერიტორია ს. მგელაძის ქ. N16-ში მდებარე შენობა-ნაგებობები N1 2598.36 კვ.მ, N2 767.34კვ.მ, N3 50.63კვ.მ და მასზე მიმაგრებული 52456 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 27.06.48.013).

**პრივატიზაციის ფორმა** - საჯარო აუქციონი

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**– საკუთრების უფლება მიენიჭება იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

**განცხადების მიღების ვადა** - 2014 წლის 8 აპრილიდან 10:00 საათიდან- 2014 წლის 8 მაისის 13:00 საათამდე.

**აუქციონის ჩატარების თარიღი**– 2014 წლის 8 მაისი 15:00 საათი.

**აუქციონის ჩატარების ადგილი** – ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N№37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართული;

**საწყისი გასაყიდი ფასი**– 69000 ლარი

„ბე“– რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 30%-ს-20700 ლარი;

**აუქციონის ბიჯი** - 1000 ლარი

**მონაწილის ბილეთის ფასი** - 10 ლარი

**ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი** - ს.ს. პრივატ ბანკი ანგ. [N№GE64TP0033030020000011.. ს/კ - 233730139](https://www.gebank.com/number/N%26GE64TP0033030020000011..%20ს%2F%20-233730139).

**განაცხადის მიღების ადგილი (მისამართი), ტელეფონი** - ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N№37 ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართული; საკონტაქტო პირის ტელ: (591) 32 41 41–რომან ბიჭაძე;

**კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია** -

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებას, ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს.

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და „ბე“-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

**თანხის გადახდის პირობები** - „ბე“- 20700 ლარი და მონაწილის ბილეთი - 10 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს საჯარო აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე. საპრივატიზებო თანხის სრულად გადახდა საჯარო აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის განმავლობაში.

**აუქციონის დამატებითი პირობები:**

1. აუქციონში გამოტანილი ობიექტის შემძენი ვალდებულია შეძენილ ქონებაზე ნებისმიერი

სახის ობიექტისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა ყველა ეტაპზე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით.

2. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. აუქციონში გამარჯვებულმა საპრივატიზებო თანხა სრულად უნდა დაფაროს აუქციონში გამარჯვებულის ოქმის ხელმოწერის დღიდან 1 თვის ვადაში.

4. თუ მყიდველი პირობების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების ნასყიდობის თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

5. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.